ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა
პოლიტიკურ მეცნიერებაში

პროგრამის ხელმძღვანელი:
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი,
პოლიტიკის
მეცნიერებათა დოქტორი

მალხაზ მაცაბერიძე

თბილისი
2009

სადოქტორო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებაში
PhD Program in Political Science

1. სადოქტორო პროგრამის სახელწოდება.
სადოქტორო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებაში
PhD Program in Political Science

2. მისანიჭებელი ხარისხი:
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი.
PhD in Political Science.

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი:
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სრული პროფესორი, **მალხაზ მაცაბერიძე** (იხ. დანართი №1)

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) პროგრამის მიზანი:
დაასაბუთეთ პროგრამის აქტუალურობა და დააფიქსირეთ სავარაუდო საკვლევი პრობლემები.

დოქტორანტურა წარმოადგენს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურს, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობას. დოქტორანტურის მთავარი მიზანია პროფესიული მოღვაწეობის შესაბამისი სფეროების მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადება, რომლებსაც შესწევთ უნარი: შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი სამეცნიერო გამოცდილება და მიღებული სამეცნიერო შედეგები გაავრცელონ პუბლიკაციების მეშვეობით, ასევე სასწავლო პროცესში და პრაქტიკაში მათი დანერგვის გზით.

პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო პროგრამა მომზადებულია უცხოელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვენენ ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) აკადემიური სტიპენდიების პროგრამის (AFP) საერთაშორისო კონსულტანტები: სტივენ ინგლი (სტირლინგის უნივერსიტეტის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი) და პიტერ ვან ჰიუტენი (კემბრიჯის უნივერსიტეტი, პოლიტიკური მეცნიერების დოქტორი). [1]

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს პოლიტიკის და პოლიტიკური სფეროს საკვანძო მომენტების გამოკვეთას და სპეციალისტების მომზადებას ჩვენი ქვეყნისა და რეგიონისათვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხების მეცნიერული კვლევისათვის; დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას; ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას; კვლევისა და სწავლების

[1] სადოქტორო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა მათი გამოცდილება და დაისახა შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივებიც კერძოდ, საერთაშორისო კონსულტანტები ჩართული იქნებიან სადოქტორო პროგრამაში როგორც გარე კონსულტანტები, ხოლო საკვლევი პრობლემეტიკის ნაკლებადეკვატურობის პირობებში დახმარებიან პროგრამის ხელმძღვანელობას შესაბამისი გარე შემფასებლების მოძიებაში.

თანამედროვე მეთოდების შესწავლის საფუძველზე ახალი ცოდნის და ინფორმაციის შექმნასა და გენერირებას.
პოლიტიკურ მეცნიერებაში სადოქტორო პროგრამა ეფუძნება მოდულარულ სისტემას და მიზნად ისახავს დისციპლინის ცალკეული პრობლემური სფეროების გამოკვლევას.

ამ ეტაპზე შემოთავაზებულია სასწავლო-კვლევითი მოდულები:

– დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში

– ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები და პოსტსაბჭოთა სივრცის ტრანსფორმაცია (სწავლების ქართულ და რუსულ ენებზე)

– პოლიტიკური კორუფცია, ორგანიზებული დანაშაული და უსაფრთხოება (სწავლების ქართულ და ინგლისურ ენებზე)

– საჯარო სექტორის რეფორმირება საქართველოში და საზოგადოებრივი ჩართულობა საჯარო პოლიტიკურ პროცესში

სადოქტორო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებაში ემსახურება ამ დარგში მკვლევარისა და აკადემიური სფეროს მომავალი სპეციალისტის მომზადებას, რომლესაც შესწევს ახალი ცოდნის გენერირება და თავისი სადოქტორო დისერტაციით ემსახურება ახალი ცოდნის შექმნას პოლიტიკურ მეცნიერებაში.

ბ) პროგრამის შედეგი:
გამოყავით დარგობრივი კვალიფიკაცია, ცოდნა, კომპეტენციები, უნარ-ჩვევები.

დოქტორანტურა არის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პროფესიული მომზადების დამამთავრებელი საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომლის მიზანია სამეცნიერო კადრების მომზადება. ბერგენის კომუნიკეს (20.05.2005) თანახმად, "დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია, ეფუძნება რა სწავლების შედეგებს, სრულად უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების სქემას".
შესაბამისად, დოქტორანტურის სწავლის შედეგი და კომპეტენცია მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს:
– ცოდნისა და უნარ-ჩვევების გენერაცია;
– ცოდნისა და უნარ-ჩვევების კონსერვაცია;
– ცოდნისა და უნარ-ჩვევების ტრანსფორმაცია;
– ლიდერობა;
– ავტონომია.

პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მთავარი მიზანია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც პროფესიული მოღვაწეობის შესაბამისი სფეროების ლიდერები იქნებიან. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შესწევდეს უნარი, კრიტიკულად გააანალიზოს დაგროვილი ცოდნა, შემოქმედებითად განავითაროს იგი და პასუხისმგებლობით მოეკიდოს სამეცნიერო ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

დოქტორანტურის სწავლის შედეგი და კომპეტენცია მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს:
დოქტორს პოლიტიკურ მეცნიერებებში უნდა შეეძლოს:
– კვლევის შედეგად ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნა; ახალი და კომპლესური იდეების გაშუქება და სინთეზირება;
– თავისი წვლილის შეტანა პოლიტიკურ მეცნიერებაში ორიგინალური კვლევებით, რომელიც იმსახურებს ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე გამოქვეყნებას;

– პოლიტიკური მეცნიერების ისტორიისა და ძირითადი იდეების გაგება; დაგროვილი ცოდნის შემოქმედებითი განვითარება;
– პოლიტიური მეცნიერებების ადგილი საერთო ინტელექტუალურ სივრცეში, ერკვეოდეს მონათესავე და სხვა სამეცნიერო სფეროების ძირითად საკითხებში;
– შეეძლოს ითანამშრომლოს სხვა დარგების წარმომადგენლებთან ინტერდისციპლინური კვლევის დროს;
– მოპოვებული ცოდნის ეფექტური და გასაგები ფორმით გადმოცემა;
– ესმოდეს მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების ასპექტები.
– სადოქტორო პროგრამით მომზადებულ სპეციალისტს უნდა შეეძლოს როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი პროცესის დაგეგმვა და განხორციელება.
– აკადემიურ და პროფესიონალურ კონტექსტში ტექნოლოგიური, სოციალური და კულტურული წინსვლისთვის ხელის შეწყობა.

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

პოლიტიკის მეცნიერებაში დოქტორის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით. როგორც ექსპერტი, იგი შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე სწავლების მსურველთ მოეთხოვებათ მაგისტრის ხარისხის ფლობა პოლიტიკურ ან სოციალურ მეცნიერებებში, ასევე ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) კარგი ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე მაინც.

დამოუკიდებელი მოსაუბრე	**B2**	**კომუნიკაცია** - ენის შემსაწვლელს შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია დარგობრივი დისკუ-სიის წარმართვა; შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთი-თოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები. **კითხვა** – შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად სხვადასხვა თემებ-ზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; შესაძლოა უჭირდეს იშვიათად გამოყენებადი იდიომების გაგება. **წერა** – შეუძლია წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავის აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

6. სასწავლო კომპონენტი.

პროგრამის სტრუქტურა
სასწავლო გეგმა:

სადოქტორო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებაში შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან. ამ ორ კომპონენტს შორის განაწილება შემდეგნაირია: 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტზე, ხოლო 120 კვლევით კომპონენტზე მოდის. სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო საუნივერსიტეტო მოდულისა და სადოქტორო პროგრამის სპეციალიზირებული სასწავლო ნაწილებისაგან. სადოქტორო პროგრამა ასევე გულისხმობს დოქტორანტის კოლოკვიუმებს რომელიც პროგრამის სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტის სავალებულო ნაწილადაა წარმოდგენილი. სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებით.

<u>პროგრამის სასწავლო კომპონენტი</u>

სავალდებულო საუნივერსიტეტო მოდული გულისხმობს ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას, დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას, ტრანსფერირებადი უნარების განვითარებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლასა და დოქტორანტის ჩართვას სასწავლო პროცესში. სავალდებულო საუნივერსიტეტო მოდული წარმოდგენილია მოცემული ეტაპისათვის არსებული სავალდებულო საგნით (ერთი მხრივ, კვლევის მეთოდები და ხერხები, და სწავლების თანამედროვე მეთოდები, მეორე მხრივ, რომელშიც იგულისხმება სასწავლო პრაქტიკაც და გამოიხატება დოქტორანტების საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში ინტეგრირებით) და მის განხორციელებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

სადოქტორო პროგრამის სპეციალიზირებული სასწავლო ნაწილი 15 კრედიტიანია და მიმართულია, ერთი მხრივ, კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ათვისებისაკენ, მეორე მხრივ კი – სპეციალიზაციასაკენ. სტუდენტს საშუალება ეძლევა, საკუთარი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით, აირჩიოს პროგრამით შემოთავაზებული კვლევითი მიმართულებებიდან ერთი, როგორც კონკრეტული კვლევითი პროექტის განხორციელების სფერო. სადოქტორო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებაში შედგება პროგრამის სავალდებულო საგნის და მოდულებისაგან.

პროგრამის სავალდებულო საგანია: თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების თეორიისა და მეთოდოლოგიის აქტუალური საკითხები (5 კრედიტი)

მოდულის "დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში" სავალდებულო საგნებია:

1. დემოკრატიის თეორია და პრაქტიკა გლობალიზაციის ხანაში (5 კრედიტი)
2. საქართველო XX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში: განვითარების საკვანძო საკითხები (5 კრედიტი)

მოდულის "ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები და პოსტსაბჭოთა სივრცის ტრანსფორმაცია" (სწავლების ქართულ და რუსულ ენებზე) სავალდებულო საგნებია:

1. დემოკრატიის თეორია და პრაქტიკა გლობალიზაციის ხანაში (5 კრედიტი)
2. პოსტსაბჭოთა სივრცის ტრანსფორმაცია და გეოპოლიტიკა (5 კრედიტი)

მოდულის "პოლიტიკური კორუფცია, ორგანიზებული დანაშაული და უსაფრთხოება" (სწავლების ქართულ და ინგლისურ ენებზე) სავალდებულო საგნებია:

1. პოლიტიკური კორუფცია, ორგანიზებული დანაშაული და კონტრაბანდა (5კრედიტი)
2. ტურიზმის პოლიტიკა და უსაფრთხოება (5 კრედიტი)

მოდულის საჯარო სექტორის რეფორმირება საქართველოში და საზოგადოებრივი ჩართულობა საჯარო პოლიტიკურ პროცესში სავალდებულო საგნებია:

1. დემოკრატიის თეორია და პრაქტიკა გლობალიზაციის ხანაში (5 კრედიტი)
2. საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება: თეორია და პრაქტიკა (5 კრედიტი)

მოდულის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო დისციპლინები თავისი თემატიკით დოქტორანტს საკვლევ პრობლემატიკაში ორიენტაციის საშუალებას აძლევს. ამდენად ისინი შეიძლება დავახასიათოთ როგორც სასწავლო-კვლევითი მიმართულებები, რომელთა სწავლებაში ჩართულნი იქნებიან შესაბამის სფეროებში მომუშავე პროფესორები.

პოლიტიკურ მეცნიერებაში სადოქტორო პროგრამის სპეციალიზირებული სასწავლო კომპონენტი შედგება ლექციებისაგან, რომლებსაც კითხულობენ შესაბამისი სფეროს სპეციალისტები; სასემინარო მუშაობისაგან, სადაც მიმდინარეობს დისკუსია მოსმენილი ლექციისა და დოქტორანტის მიერ წაკითხული მასალის ირგვლივ და სადაც პედაგოგი ასრულებს მოდერატორის როლს; ასევე დოქტორანტების კოლოკვიუმებისაგან, რომელიც ხელს შეუწყობს კონკრეტული კვლევითი პროექტების ეფექტურობას.

კოლოქვიუმებზე წარმოდგენილ კვლევის შედეგებს ექნება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა: ისინი ხელს შეუწყობს პოლიტიკური მეცნიერების შედარებით ახალი მიმართულების განვითარებას, რომელიც შეისწავლის დემოკრატიზაციის პროცესებს პოსტსაბჭოთა სივრცეში; კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლებასა და დანერგვას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე რთული და წინააღმდეგობრივი სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მკვლევართა და ანალიტიკოსთა მომზადებას.

7. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ- ტექნიკური ბაზა.

ს.ს.ი.პ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტთან შეთანხმების საფუძველზე პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მოცემული მოდულის სტუდენტებს შეეძლებათ გამოიყენონ ინსტიტუტის დარგობრივი ბიბლიოთეკა[2] (რომელიც დღეისათვის 5 ათასამდე წიგნს, პერიოდულ გამოცემასა და ელექტრონულ რესურსებს მოიცავს. გასათვალისწინებელია, რომ ბიბლიოთეკა მუდმივად ივსება ახალი სამეცნიერო ლიტერატურით), ასევე კომპიუტერული ტექნიკა, 24-საათიანი ინტერნეტი, სასწავლო აუდიტორიები.

ს.ს.ი.პ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტთან დადებული შეთანხმება იძლევა უნივერსიტეტის მიერ დოქტორანტის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრლებას. კერძოდ მსგავს კვლევით ცენტრთან თანამშრომლობა უზრუნველყოფს: დოქტორანტის კვლევისათვის საჭირო მატერიალურ პირობებს (კომპიუტერი, ინტერნეტ-კავშირი, ბიბლიოთეკა და ა.შ.) და სათანადო სამეცნიერო გარემოს (პროფესიონალ მკვლევარებთან ურთიერთობის შესაძლებლობას); გასათვალისწინებელია ისიც, რომ თბილისის

[2] ბიბლიოთეკა შეიქმნა ამერიკის პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციასთან American Political Science Association (**APSA**) ინტენსიური თანამშრომლობისა და ნაწილობრივ მათ მიერ გამოგზავნილი წიგნების საფუძველზე, ასევე ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) აკადემიური სტიპენდიების პროგრამის (AFP) ფარგლებში პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის თანამშრომლობის საფუძველზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო პროგრამაში მონაწილე დოქტორანტებს საშულება ექნებათ ჩაერთონ ს.ს.ი.პ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობაში და ის საკუთარი კვლევითი პროექტების განსახორციელებელ ბაზად გამოიყენონ.

დეპარტამენტის კვლევით მუშაობაში ჩართული პროფესორები სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას აწარმოებენ იმ მამართულებით, რაზეც კითხულობენ ინტენსიურ ლექციებსა და სემინარებს[3]. ეს დოქტორანტების კვლევაში ჩართვის შესაძლებლობებსა და სადოქტორო დისერტაციების კვალიფიციური წარმართვის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, ინსტიტუტის ისეთ კვლევით პროექტებში ჩართვა, როგორიცაა მიმდინარე პოლიტიკის ანალიზი, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანალიზი, კავკასიური კვლევები, დემოკრატიზაციის პროცესები პოსტსაბჭოთა სივრცესა და ახლო აღმოსავლეთში და სხვა, წარმოადგენს დოქტორანტების მიერ არჩეული სადოქტორო დისერტაციების უკეთ დამუშავების საშუალებას.

8. მიუთითეთ რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე.

დღეს არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია ყოველწლიურად 5-მდე დოქტორანტის მიღება.

9. თანხმობის წერილი პარტნიორი ორგანიზაციიდან, რომელიც მონაწილეობას იღებს სადოქტორო პროგრამის შესრულებაში.

თანხმობის წერილი ს.ს.ი.პ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტიდან დანართის სახით თან ერთვის სადოქტორო პროგრამას (იხ. დანართი №2).

10. პროგრამაში ჩართული პროფესორების CV.

პროგრამაში (მოდული: "დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში") ჩართული პროფესორები პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტიდან (იხ. დანართი №1):

მალხაზ მაცაბერიძე – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების სრული პროფესორი

ალექსანდრე კუხიანიძე – ფილოსოფიის დოქტორი, პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ალექსანდრე კუხიანიძე – ისტორიის დოქტორი, პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ნანა მაჭარაშვილი – PhD პოლიტიკის მეცნიერებაში, ს.ს.ი.პ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების ასოცირებული პროფესორი

[3] სადოქტორო პროგრამაში მონაწილე თითოეული პროფესორი სწორედ ს.ს.ი.პ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელია და აქ ახორციელებს თავის საკვლევ მუშაობას.

სალომე დუნდუა – PhD პოლიტიკის მეცნიერებაში, ს.ს.ი.პ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების ასისტენტ-პროფესორი

11. ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა:

ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებაში ცხადდება იმ ასპირანტებისა და მაძიებლებისათვის, რომლებზეც ვრცელდება დოქტუნატურის მინიმალური სტანდარტების შესახებ დადგენილების" გარდამავალი დებულებები. ამ შემთხვევაში პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დასრულების მსურველ ყველა პირზე, რომელიც ამ კატეგორიაში ხვდება, ვრცელდება საუნივერსიტეტო ზოგადი რეგულაციები. პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელობა, ამ პირებთან მიმართებაში იხელმძღვანელებს ერთი მხრივ ზოგადსაუნივერსიტეტო, ხოლო მეორე მხრივ, ფაკულტეტზე შექმნილი სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით.

პირები, რომლებიც აღნიშნული დებულების ძალაში შესვლამდე გახდნენ ასპირანტები ან მაძიებლები, უფლებამოსილნი არიან, შეიტანონ განაცხადი გამარტივებული წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ და თუ ჩაბარებული აქვთ ე.წ. საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული ყველა საგანი, თავისუფლდებიან სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებიდან, ხოლო მათი სადოქტორო დისერტაციების დაცვის პროცესი ექვემდებარება ზოგადსაუნივერსიტეტო და საფაკულტეტო რეგულაციებს.

1. სადოქტორო პროგრამის სახელწოდება.
სადოქტორო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებაში (ინდივიდუალური)
PhD Program in Political Science (Individual)

2. მისანიჭებელი ხარისხი:
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი. PhD in Political Science.

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი:
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სრული პროფესორი, **მალხაზ მაცაბერიძე** (იხ. დანართი №1)

პროგრამის დახასიათება, ისევე როგორც სადოქტორო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პროგრამაში ჩართული პროფესორების ჩამონათვალი იგივეა რაც პოლიტიკური მეცნიერების თემატურ სადოქტორო პროგრამაზე. რაც შეეხება სადოქტორო პროგრამაზე მიღების სავარაუდო წინაპირობებსა და გასაკუთრებულ პირობებს, პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო ინდივიდუალურ პროგრამის მონაწილე დოქტორანტებზე გავრცელდება ზოგადსაუნივერსიტეტო და საფაკულტეტო საერთო გადაწყვეტილებები.

I დანართი

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის
მალხაზ მაცაბერიძის

სახელი, გვარი	**მალხაზ მაცაბერიძე**
თანამდებობა	თსუ სრული პროფესორი
სამუშაო ადგილი	ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საკონტაქტო ინფორმაცია	მალხაზ მაცაბერიძე; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი; პროფესორი. ტელეფონი: 22.00.50; 899.14.51.69; e-mail: mbmatsaberidze@yahoo.com
ბოლო 5 წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსები	პოლიტიკური მეცნიერების შესავალი ქართული პოლიტიკური აზრი გეოპოლიტიკა პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები არჩევნები და საზოგადოება; ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში; ბიზნესი და პოლიტიკა საქართველოში საქართველოს პოლიტიკური სისტემა პოლიტიკური კონსულტირება მიზნები და საშუალებები პოლიტიკაში კავკასია გლობალურ პოლიტიკაში
სამეცნიერო კვლევის სფეროები	პოლიტიკური აზრის ისტორია, თანამედროვე ქართული და კავკასიური პოლიტიკა
ბოლო 5 წლის პუბლიკაციები	იხ. დანართი
ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებული სამეცნიერო გრანტები	სოციალური მეცნიერების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2001 წელს სალექციო კურსების ("არჩევნები და საზოგადოება", "პოლიტიკური მარკეტინგი") და ინტენსიური სემინარების ("ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში", "ბიზნესი და პოლიტიკა საქართველოში") მომზადება
ბოლო 5 წლის განმავლობაში სამაგისტრო საკანდიდატო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სადოქტორო დისერტაციის კონსულტანტობა	19 სამაგისტრო ნაშრომის და 3 საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი

Curriculum Vitae

განათლება – უმაღლესი

	წლები	**უმაღლესი სასწავლებლის დასახელება**	**სპეციალობა**	**აკადემიური ხარისხი**
1	1973-1978	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ისტორია	სტუდენტი
2	1978-1981	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ისტორია	ასპირანტი
3	1981	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ისტორია	მეცნიერებათა კანდიდატი
4	1997	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პოლიტიკური მეცნიერება	პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

სამუშაო გამოცდილება

	წლები	**თანამდებობა**	**დეპარტამენტის/განყოფილებ ის დასახელება**	**ორგანიზაციის დასახელება**
1	2005-დღემდე –	პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების სრული პროფესორი	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	2000-2005	პროფესორი	პოლიტოლოგიის კათედრა	ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	2006-დღემდე	დირექტორის მ/შ, დირექტორი		პოლიტოლოგიის ინსტიტუტი
4	2000-2006	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი		პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

მალხაზ მაცაბერიძე
2008 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

მონოგრაფიები

უზენაესი ბატონი ქვეყნისა. როგორი უნდა ყოფილიყო საქართველოს პარლამენტი 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით. თბ., 2008 – 107 გვ.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება. თბ., 2008 – 184 გვ.

პუბლიკაციები საზღვარგარეთულ პიერ-რევიუ ჟურნალებში

Russia and Georgia: Post-soviet Metamorphoses of Mutual relations - Central Asia and The Caucasus 2008 # 5 (53), pp.145-149

Orawing up a Constitution for the Transcaucasian Seym and the National Council of Georgia - The Caucasus & Globalization 2008 # 2 pp.131-140

სახელმძღვანელო
სახელმწიფო. სახელმძღვანელო XI-XII კლასებისათვის. თბ., 2008 თანაავტორობით

სტატიები
საქართველოს მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია – საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. არასოციალისტური პარტიების პროგრამები. თბ., პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2008, გვ.48-59

საქართველოს დემოკრატიული პარტია – საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. არასოციალისტური პარტიების პროგრამები. თბ., პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2008, გვ.60-71

დამოუკიდებლობის აღდგენა 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს ეყრდნობა – დამოუკიდებლობის დღე: 26 მაისი თუ 9 აპრილი? თბ., პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2008, გვ.4-7

რუსეთი და საქართველო პოსტსაბჭოთა პერიოდში: აგრესიის მეტამორფოზები – კრებ: რუსეთი და საქართველო: აგრესიისგაკვეთილები. თბ., 2008, გვ.75-84

Малхаз Мацаберидзе. Обсуждение конституции Закавказского Сейьа в Национальном Совете Грузии - В сб.: Южнокавказское сотрудничество: Закавказский Сейм (1918 г.). Тб., 2008, стр.25-39

მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში

Разработка конституции Закавказского Сейма и Национальный Совет Грузии - От Закавказского Сейма к Южно-Кавказскому альянсу: опыт, проблемы и перспективы. Тбилиси, 5 февраля, 2008 საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, მომხსენებელი)

Наследие Омеляна Прицака и современные гуманитарные науки. Киив, 28-30 мая 2008 г. - Грузия и Россия в постсоветский период: основные модели взаимоотношений (მომხსენებელი)

ჩონსტიტუტიონალ Fოუნდატიონს ოფ ჩულტურე Pოლიტიცს – I Iნტერნატიონალ Fორუმ ოფ ჩულტურე Eხპერტს. Bაკუ, ჟუნე 6, 2008. (მომხსენებელი)

ქართული პოლიტიკური აზროვნების ევროპეიზაცია – სულხან-საბა ორბელიანი და ქართული ევროპეიზმი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 2008 წლის 16-18 დეკემბერი. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. (მომხსენებელი)

მონაწილეობა კონფერენციებში

საქართველოც 1921 წლის კონსტიტუცია: დემოკრატიის ქართული მოდელის ძიება – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921): სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოცდილება. თბილისი, 2008 წლის 14 მარტი. სამეცნიერო კონფერენცია. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი (საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, მომხსენებელი)

არარეალიზებული გზა დამოუკიდებლობისაკენ: რატომ არ აღიარა რუსეთმა საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1991 წლის 31 მარტი-9 აპრილი), თბილისი, 2008 წლის 23 აპრილი. სამეცნიერო კონფერენცია. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი (საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, მომხსენებელი)

საქართველო და ნატო: 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის შედეგები - ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, 2008 წლის 24-25 ივნისი (მომხსენებელი)

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები და რუსეთი: ურთიერთობის ცივილიზებული მოდელის ძიება – რუსეთი და საქართველო: აგრესიის გაკვეთილები. თბილისი, 2008 წლის 18 ივლისი. სამეცნიერო კონფერენცია. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი (საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, მომხსენებელი)

”მესამე რომის” კონცეფციის მეტამორფოზები: დისკუსია რუსეთში ბიზანტიის იმპერიის დაცემის მიზეზების შესახებ – იმპერიის მემკვიდრეობა: 555 წელი ბიზანტიის შემდეგ. თბილისი, 2008 წლის 26 სექტემბერი. სამეცნიერო კონფერენცია. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი (საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, მომხსენებელი)

“რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და კავკასიის ახალი გეოპოლიტიკური კონტურები” – რუსეთი, რეგიონული კონფლიქტები და სამხედრო ძალის გამოყენება. თბილისი 2008 წლის 2 ოქტომბერი სამეცნიერო კონფერენცია. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი (საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, მომხსენებელი)

საქართველო თანამედროვე რუსულ გეოპოლიტიკურ კონცეფციებში -საქართველო: დემოკრატიული განვითარების პრობლემები და თანამედროვე გამოწვევები. სამეცნიერო კონფერენცია. ბათუმი, 2008 წლის 28 ნოემბერი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ პოლიტოლოგიის ინსტიტუტი საორგა-ნიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, მომხსენებელი)

ომის წინ – საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება 1921 წლის დასაწყისში – საქართველოს პოლიტიკური პარტიები (1906-1921). თბილისი 2008 წლის 25 დეკემბერი სამეცნიერო კონფერენცია. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი (საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, მომხსენებელი

ალექსანდრე კუხიანიძე
Cuuriculum Vitae

განათლება

	წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი
1	1977	როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოსოფიის ფაკულტეტი	დიპლომი
2	1985	ივ. ჯავახიშვილის სახელობის	ფილოსოფია	ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

		თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი		

სამუშაო გამოცდილება

	წლები	თანამდებობა	დეპარტამენტის/განყოფილების დასახელება	ორგანიზაციის დასახელება
1	2004 წლიდან დღემდე	დირექტორი	კავკასიის ოფისი	ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრი (TraCCC)
2	1991 წლიდან დღემდე	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტი	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პუბლიკაციების რაოდენობა: ——— 32————

	წელი	პუბლიკაციის დასახელება	გამომცემლობა	პუბლიკაციის სახე (სტატია, მონოგრაფია, სახელმძღვანელო და სხვა)
1	2007	*Smuggling in Abkhazia and the Tskhinvali Region in 2003-2004*. In "Organized Crime and Corruption in Georgia". L. Shelley, E.Scott, A.Latta (Eds.).	Routledge Taylor & Francis Group, London	სტატია
2	2007	*Strengthening Cooperation in the Struggle against Terrorism and Organized Crime*. In European Neighbourhood Policy and Georgia. Analyses of Independent Experts.	Friedrich-Ebert-Stiftung, Open Society - Georgia Foundation, and CORDAID Foundation	სტატია
3.	2006	*Smuggling Through Conflict Zones in Georgia and Security in the Caucasus.* In "Invisible Threats: Financial and Information Technology Crimes and National Security".Umberto Gori and Ivo Paparela (Eds.).	NATO Security through Science Series. E: Human Rights and Societal Dynamics – Vol. 10. *IOS* Press. Amsterdam, Netherlands	სტატია
4.	2004	*Criminalization and Cross-Border Issues: the Case of Georgia.*. Paper presented at the Workshop "Managing International and Inter-Agency Cooperation at the Border", held in Geneva March 13-15 2003.	The Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces	სტატია
5.	2003	*Organized Crime and Smuggling Through Abkhazia and South Ossetia.* In "Organized Crime, Trafficking, Drugs: Selected papers presented at the Annual Conference of the European Society of Criminology in Helsinki", S. Nevala & K. Aromaa (Eds.).	European Institute for Crime Prevention and Control, Publication Series No2.	სტატია
6.	2001	*Local Government Reform Initiative. Baseline Assessment for Georgia.* (In cooperation with Rity Nayyar-Stone, Laurens Ayvazian, Nato Beruashvili, Martha Sickles - *the UI* and Maka Gureshidze - *Barents Group*).	U.S. Agency for International Development/Georgia and the Urban Institute.	მონოგრაფია
7.	2001	*პოლიტიკური მეცნიერების მეთოდოლოგია. წიგნში პოლიტიკური მეცნიერება: ლექციების კურსი, 2001;*	*თსუ გამომცემლობა*	სახელმძღვანელო
8.	1999	*Grassroots Politics in the CIS: Citizens, Local Power, and Local Elections in Georgia.* Contemporary Caucasus Newsletter. Issue 8, Summer 1999.	University of California. The Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies	სტატია
9.	1998	*The Armenian and Azeri Communities in Georgia: On Georgia's Nationalities and Foreign Policies*. In "Commonwealth and Independence in Post-Soviet Eurasia". Bruno Coppieters, Alexei Zverev & Dmitri Trenin (Eds).	Frank Cass Publishers, London, Portland OR	სტატია
10.	1996	*Georgia at the Crossroads*. In *Oost-Europa Verkenningen*, Amsterdam. (In cooperation with Bruno Coppieters from Free University of Brussels).	Instituut voor Publiek en Politiek.	სტატია

სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

	წლები	როლი პროექტში	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია
1	2007 - 2008	კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი	რადიოაქტიული ნივთიერებების კონტრაბანდა საქართველოს გავლით	შეერთებული შტატების ენერგეტიკის დეპარტამენტი ჯორჯ მასონის უნივერსიტეტის ინიციატივით
2	2003 - 2006	კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი	ორგანიზებული დანაშაული და კონტრაბანდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გავლით	შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტი ამერიკული უნივერსიტეტის ინიციატივით
3	2004	კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი	კრიმინალი და ნარკოტიკები აჭარაში	შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტი ამერიკული უნივერსიტეტის ინიციატივით
4	2003	მკვლევარი	ადგილობრივი თვითმმართველობა ბერლინში	(DAAD)
5	2000 - 2001	კვლევითი ჯგუფის წევრი	ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში	USAID
6	1998 - 2000	ფულბრაიტის პროფესორი	სამეზობლო ასოციაციები შეერთებულ შტატებში	USIA
7	1999	მკვლევარი	ადგილობრივი თვითმმართველობა ვაშინგტონში - კოლუმბიის ფედერალურ ოლქში	კენანის ინსტიტუტი, შეერთებული შტატები
8	1996 – 2000	მთავარი რედაქტორი	საერთაშორისო აკადემიური ჟურნალი „კავკასიის რეგიონული კვლევები“	UNDP; NATO, და ფრიდრიხ ებერტის ფონდი
9	1995 - 1996	მკვლევარი	აზერბაიჯანული და სომხური ეთნიკური უმცირესობა საქართველოში	EU INTAS
10	1994 - 1995	მკვლევარი	დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში	EU INTAS

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

	წელი	ღონისძიების დასახელება	მოხსენების სათაური	ღონისძიების ჩატარების ადგილი
1	2008	საერთაშორისო კონფერენცია „საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია“	უკონტროლო ზონები – “სამოთხე” ორგანიზებული დანაშაულისთვის	დიჩლის ფონდი, დიდი ბრიტანეთი
2	2007	გაერო-ს (UN Office on Drugs and Crime). ტექნიკური სემინარი „ძალადობრივი ტრანსნაციონალური დანაშაულის დამანგრეველი შედეგების შეკავება“;	ორგანიზებული დანაშაული, გადაუწყვეტელი კონფლიქტები და ბირთვული იარაღის კონტრაბანდა	ვენა, ავსტრია
3	2007	კონფერენცია „თანამედროვე კავკასიის მდგომარეობა“	საქართველო: არშემდგარი სახელმწიფოდან მდგრადი განვითარებისკენ	ჩიკაგოს უნივერსიტეტი, შეერთებული შტატები
4	2006	ნატოს სემინარი „უხილავი მუქარები: კავკასიასა და შუა აზიაში ფინანსური სისტემების უსაფრთხოება“	ბირთვული იარაღის კონტრაბანდა საქართველოს გავლით	ამერიკული უნივერსიტეტი ბიშკეკში, ყირგიზეთი
5	2005	„ორგანიზებული დანაშაული რუსეთსა და მის ფარგლებს გარეთ“	საქართველოს გზით რადიოაქტიული ნივთიერებების კონტრაბანდული გადაზიდვა	სარატოვი, რუსეთი
6	2005	„დემოკრატია და გლობალური უსაფრთხოება“	ორგანიზებული დანაშაული და კონტრაბანდა საქართველოში	სტამბული, თურქეთი
7	2004	ევროპის კრიმინოლოგიური ასოციაციის კონგრესები	კონტრაბანდა და სახელმწიფო საზღვრების უსაფრთხოება საქართველოში	ამსტერდამის უნივერსიტეტი, ჰოლანდია

8	2004	ნატო-ს სემინარი „ფინანსური და საინფორმაციო–ტექნოლოგიური დანაშაული, და ეროვნული უსაფრთხოება“	ორგანიზებული დანაშაული საქართველოში და კავკასიის უსაფრთხოება	დუბროვნიკის უნივერსიტეტი, ხორვატია
9	2003	ევროპის კრიმინოლოგიური ასოციაციის კონგრესები	კონტრაბანდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის გზით	ჰელსინკის უნივერსიტეტი, ფინეთი
10	2003	კონფერენცია „ევროკავშირის ინტეგრირებული საზღვრების მენეჯმენტი“.	სახელმწიფო საზღვრების უსაფრთხოება საქართველოში	შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF), შვეიცარია

უცხო ენების ცოდნა

№	ენის დასახელება	დამწყები	ლექსიკონით	საშუალოდ	კარგად	თავისუფლად
1.	ქართული					✓
2.	ინგლისური					✓
3.	რუსული					✓

დამატებითი ინფორმაცია (ჯილდოები, სტიპენდიები, სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციის წევრობა და სხვა (სურვილისამებრ))

სტიპენდიები და სტაჟირებები:
2003 – გერმანიის აკადემიის გაცვლითი პროგრამა (DAAD);
1998 - 2000 – ფულბრაიტის პროფესორი, USIA; (ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი და მაუნთ ჰოლიოკ კოლეჯი, შეერთებული შტატები)
1999 – კენანის ინსტიტუტი (ვაშინგტონი, შეერთებული შტატები).

ნანა მაჭარაშვილი ვასილის ასული

საქართველო, ქ. თბილისი, 0167, გლდანის მასივი, III მ/რ, კორ. 69, ბ.47. ტელეფონი: 578326; მობ: 855 575020;

E-mail: Nikea13@mail.ru. დაბადების თარიღი: 17.10.1977.

მიმდინარე საქმიანობა:

ასოცირებული-პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (2008 წლის სექტემბრიდან)
თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევისა და განვითარების დეპარტმაენტის უფროსი, (2008 წლის აპრილიდან)
მიმდინარე პოლიტიკისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების განყოფილების ხელმძღვანელი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი (2006 წლის ოქტომბრიდან)
ლექტორი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (CSS), თსუ (2004 წლიდან)

განათლება:

PhD (2006), თსუ, ასპირანტურა, პოლიტიკური მეცნიერება № 005555
M.A. (2003), მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა, ერთობლივი ბრიტანულ-რუსული სამაგისტრო პროგრამა, მანჩესტერის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი
PG Diploma (2003), მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა, პროფესიული გადამზადების პროგრამა
M.A. (2001), თსუ, მაგისტრატურა, პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრი
B.A. (1999), თსუ, ბაკალავრიატი, პოლიტიკური მეცნიერების ბაკალავრი

შრომითი გამოცდილება

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი (2007 წლის აგვისტოდან 2008 ნწლის აპრილამდე)
თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (2005 წლის ნოემბრიდან 2006 წლის დეკემბრამდე)
მეცნიერ-თანამშრომელი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი (2003 წლიდან 2006 წლის ოქტომბრამდე)
ანალიტიკოსი, საინფორმაციო სააგენტო «საქინფორმის» პრესის ანალიზის სამსახური (2000-2002 წწ.)

პუბლიკაციები:

1. მაჭარაშვილი ნ. (2008), საქართველოში ახალი საჯარო მენეჯმენტის პრინციპების დამკვიდრების პერსპექტივები. ს.ს.ი.პ. პოპლიტოლოგიის ინსტიტუტის კრებული პოლიტიკა დღეს: ინსტიტუტები, პროცესები, აქტორები. (ჩაშვებულია დასაბეჭდად)

2. მაჭარაშვილი ნ. (2007), შერიგება როგორც პოსტკონფლიქტურ საზოგადოებაში თანხმობის მიღწევისა და მშვიდობის მშენებლობის საშუალება. თბილისი: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.

3. N. MACHARASHVILI, **GEORGIA FOLLOWING INTERNATIONAL EXPERIENCE OF NATIONAL RECONCILIATION BY REJECTING THE**

RETRIBUTIVE MODEL? The *CA&CC Press® AB /Central Asia & Central Caucasus Press AB/*, THE Caucasus &Globalization, Journal of Social, Political and Economic Studies, Vol. 1 (4), 2007

4. Нани МАЧАРАШВИЛИ, **ОТКАЗ ОТ "КАРАТЕЛЬНОЙ" МОДЕЛИ ВОССТАНОВЛЕНИЯ СПРАВЕДЛИВОСТИ: ИДЕТ ЛИ ГРУЗИЯ ПО ПУТИ МЕЖДУНАРОДНОГО ОПЫТА НАЦИОНАЛЬНОГО ПРИМИРЕНИЯ? КАВКАЗ&ГЛОБАЛИЗАЦИЯ, Журналсоциально-политических и экономических исследований, Том 1 (4), 2007 г.**
5. მაჭარაშვილი ნ. (2007), პოლიტიკური ფორუმი დამოუკიდებლობის 15 წლის შეფასება. *საზოგადოება და პოლიტიკა*, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი. №6
6. მაჭარაშვილი ნ. (2006), პოლიტიკის ანალიზი, სახელმძღვანელო, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი
7. მაჭარაშვილი ნ. (2005), ეროვნული შერიგების საერთაშორისო გამოცდილება: რომელ მოდელს აირჩევს საქართველო. კრებ.: "წელიწდეული – 2005", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. თბ..
8. Мачарашвили Н. (2004), Испанский опыт проведения политики национального примирения // კრებ.: "პოლიტიკა", № 5-6,
9. მაჭარაშვილი ნ. (2003), ეროვნული შერიგების საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო. // კრებ.: "პოლიტიკური ტექნოლოგიები", №2.
10. მაჭარაშვილი ნ. (2000), მაჭარაშვილი, ნ., ადამიანის უფლებათა დაცვა. პოლიტოლოგია. სალექციო კურსების თემატიკა. თბილისი
11. მაჭარაშვილი ნ. (1998), კომპრომისი როგორც პოლიტიკური კულტურის ფენომენი. // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბ..

კონფერენციებში მონაწილეობა/მოხსენებების სია

- საქართველოში ახალი საჯარო მენეჯმენტის პრინციპების დამკვიდრების პერსპექტივები. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საიუბილეო კვირეული, 23-27 ივნისი, 2008.
- 2007, 14-16, მარტი სტამბული, თურქეთი, ნანა მაჭარაშვილი, საზოგადოებრივი მონაწილება საჯარო პოლიტიკურ პორცესში: ზევიდან ქვევით თუ ქვევიდან ზევით მიმართული პროცესი?, აკადემიური სტიპენდიების პროგრამის სტიპენდიანტთა კროს-რეგიონალური დისციპლინარული საერთაშორისო კონფერენცია (პოლიტიკური მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები)
- 2007, 22-25, მარტი სტამბული, თურქეთი, ნანა მაჭარაშვილი, საჯარო პოლიტიკის ანალიზის სწავლება, აკადემიური სტიპენდიების პროგრამის სტიპენდიანტთა კროს-რეგიონალური დისციპლინარული საერთაშორისო კონფერენცია (პოლიტიკური მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები)
- 2006, 22-25, თებერვალი, სინაია, რუმინეთი, ნანა მაჭარაშვილი, ახალი საჯარო მენეჯმენტის (NPM) რეფორმა თანამედროვე საქართველოში აკადემიური სტიპენდიების პროგრამის სტიპენდიანტთა კროს-რეგიონალური დისციპლინარული საერთაშორისო კონფერენცია (პოლიტიკური მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

სტიპენდიები:

- ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის (HESP) აკადემიური სტიპენდიების პროგრამა (AFP), პროფესიული და ინდივიდუალური განვითარებისთვის (returning scholar) 20082009
- ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის (HESP) აკადემიური სტიპენდიების პროგრამა (AFP), პროფესიული და ინდივიდუალური განვითარებისთვის (returning scholar) 2007-2008
- ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის (HESP) აკადემიური სტიპენდიების პროგრამა (AFP), პროფესიული და ინდივიდუალური განვითარებისთვის (returning scholar) 2006-2007
- ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის (HESP) აკადემიური სტიპენდიების პროგრამა (AFP), პროფესიული და ინდივიდუალური განვითარებისთვის (returning scholar) 2005-2006
- სოციალური და სტრატეგიული კვლევების ფონდის (KOK) სტიპენდია (research fellowship) 2006 იანვარი-ივნისი
- სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის (CSS) აკადემიური სტიპენდიების პროგრამა სამაგისტრო კურსების მოსამზადებლად, პოლიტიკის ანალიზი. 2004 წლის აგვისტო – 2005 წლის სექტემბერი

ტრეინინგი:

ღია საზოგადოების ინსტიტუტის, უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამისა და აკადემიური სტიპენდიების პროგრამის მიერ ორგანიზებულ შემდეგ სემინარებსა და ტრეინინგებში მონაწილეობა:

- კურსის დიზაინი და ძირითადი პრობლემები სტუდენტთა შეფასებაში (CRC training module, სტამბული, მარტი, 2007)
- Media Literacy Program in Post-Soviet Countries სამწლიანი პროგრამა (ა -2006 წლის ივლისი (უკრაინა))
- ხარისხის კონტროლი და უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა (აკადემიური სტიპენდიების პროგრამა, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, 2005 წლის სექტემბერი)
- ტრეინინგი აკადემიურ წერაში (ჰანს გუთბორდი, აკადემიური სტიპენდიების პროგრამა, 2005 წლის აპრილი)
- ხარისხის კონტროლი უმაღლესი განათლების სისტემაში (ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველო", ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, 2004 წლის ივლისი)
- SPELT-ის პროგრამის პედაგოგის, ჰელენ პრევოსტის მიერ ორგანიზებული ყოველკვირეული სემინარები სწავლების მეთოდებზე (2004 წლის მაისი-ივნისი)
- ტრეინინგი თსუ-ში აკადემიური წერის საგნის დანერგვისა და განვითარებისათვის (ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრი, ლიკანი, 2004 წლის აპრილი)
- სასწავლო პრაქტიკა საქართველოს პარლამენტის კვლევით დეპარტმანეტში. 2004 წლის მარტი-ივნისი. სერტიფიკატი.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

- რუსეთი და საქართველო: აგრესიის გაკვეთილები. თბილისი, 2008 წლის 18 ივლისი. სამეცნიერო კონფერენცია. საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ხელმძღვანელი. 26-27 ივნისი.
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვირეული საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. 23-27 ივნისი.
- საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1991 წლის 31 მარტი-9 აპრილი), თბილისი, 2008 წლის 23 აპრილი. სამეცნიერო კონფერენცია. საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921): სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოცდილება. თბილისი, 2008 წლის 14 მარტი. სამეცნიერო კონფერენცია. საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი
- საქართველოს სამი პრეზიდენტი – საქართველოს სახელმწიფოს სამი ხედვა. თბილისი, 2007 წლის 14 დეკემბერი. სამეცნიერო კონფერენცია. საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი
- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია: ორი წლის გამოცდილება თბილისი, 2007 წლის 11-12 ივლისი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი
- დამოუკიდებლობის დღე: 26 მაისი თუ 9 აპრილი. თბილისი, 2007 წლის 12 აპრილი. სამეცნიერო კონფერენცია საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

საგრანტო სია/განაცხადები

- ტემპუსის (TEMPUS) პროგრამა (2008-2011 წ.წ.) «ინოვაციები პოლიტიკური მეცნიერების სწავლებაში (**Innovations in Teaching in Political Science)** - საგრანტო წინადადება (მთავარი სპეციალისტი)
- საზოგადოებრივი ჩართულობა საქართველოს საჯარო პოლიტიკურ პროცესში (საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფორნდში წარდგენილი პროექტი სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებლად/მენეჯერი, სამეცნიერო ხელმძღვანელი, მკვლევარი)
- ილია ჭავჭავაძე და თანამედროვე ქართული პოლიტიკა (თემატური კონკურსი ილია და გლობალიზაცია, მენეჯერი/მკვლევარი)

სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა

- მონაწილეობა პროექტში « საჯარო პოლიტიკის ანალიზის ხარისხის გაუმჯობერება საქართველოში », «მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის», წამყვანი მკვლევარი 09.2008-09.2009
- მონაწილეობა «მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის» მიერ ინიცირებულ პოლიტიკურ ფორუმში «ათი შეკითხვა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე», რომელიც განხორციელდა ფონდი ღია საზოგადოების (OSI) მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური მხარდაჭერის პროექტის» (G0555) ფარგლებში,. პოლიტიკის ანალიტიკოსი
- მონაწილეობა «მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის» მიერ ინიცირებულ და ფონდ კორდაიდის მიერ დაფინანსებულ პროექტში «პოლიტიკური ინსტიტუტები საქართველოში», მკვლევარი

სასერტიფიკატო კურსების მომზადება და დანერგვა

- საჯარო პოლიტიკის ანალიზის უნარების გამუჯობესების პროექტის ფარგლებში (ფონდი «მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი») სასერტიფიკატო სატრეინინგო პროგრამის «საჯარო პოლიტიკის ანალიზი დამწყებთათვის» შემუშავება და განხორციელება.

საექსპერტო საქმიანობა

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს «პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის» ფარგლებში პროფესიული სწავლების ცენტრების მიერ შემუშავებული სპეციალური მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების (70 პროგრამის) ექსპერტიზა. 2007 წლის დეკემბერი

CURRICULUM VITAE

First Name, Last Name

Salome Dundua

Academic Degree

Candidate in Political Sciences

Permanent Address

25 Giorgi Brtskinvale st, APT. # 69
0112, TBILISI, GEORGIA
Tel: (+995 32) 53-82-60 (home); (+995 93) 31-43-50 (cell); (+995 32) 22-54-36 (Work)
E-mail:: salomedundua@yahoo.com

Date and place of birth: **10/11/1973**

Marital Status: Married

Education

1995-1998 Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ph.D. Program in Political Sciences

1993-1996 Faculty of Arts and Humanities of Tbilisi State University, The Italian Language

1990-1995 Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Department of Political Sciences, Faculty of History, *Diploma with Honour*

Occupational experience

2006- to present . Institute of Politology, Head of the Department of Political Theory

2005-to present. Tbilisi State University, Department of Political Sciences
Assistant Professor

2000- 2005 Center for Political Research at Tbilisi State University
Junior Fellow

2000-2004 Tbilisi State University, Department of Political Sciences
Teacher

1993 Newspaper "Georgian Times". *Political Reviewer*

1994 Newspaper "Rezonansi". *Political Reviewer*

Grants;

1. OSI Translation Programm, New Handbook in Political Sciences, Tbilisi 2004 (translation from English, Co-translator)

Languages:
Georgian (native), English (fluent), Italian (upper Intermediate), Russian (fluent), German (read and translate)

Hobbies
Sport, Literature, Music

დანართი II
თანხმობის წერილი

თანხმობის წერილი

ს.ს.ი.პ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი თანახმაა, პოლიტიკურ მეცნიერებაში თსუ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს დოქტორანტების მიერ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შესრულება ინსტიტუტის ბაზაზე (პოლიტიკური თეორიის განყოფილება, საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების განყოფილება, რეგიონალიზმისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განყოფილება, საგარეო პოლიტიკის ანალიზის განყოფილება, პარლამენტარიზმისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრი, სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანისა და რეფერირების ცენტრი). კვლევის თემატიკა შეთანხმებულია სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან.

ინსტიტუტის (ორგანიზაციის) დირექტორი
მალხაზ მაცაბერიძე ხელმოწერა

ინსტიტუტის ბეჭედი